LÄNDERBERICHT

Konrad-Adenauer-Stiftung e.V.

SÜDKAUKASUS
DR. CANAN ATILGAN

13. Dezember 2011

www.kas.de/kaukasus
www.kas.de

ივანიშვილის „ქართული ოცნება“

2011 წლის 11 დეკემბერს, მილიონერმა ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას თავისი მოძრაობა, „ქართული ოცნება“ წარუდგინა, რომელსაც მალე პარტიად დაარეგისტრირებს. პარტიის პრიორიტეტებად მან დაასახელა სამოქალაქო საზოგადოების გავლენის გაძლიერება პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და სოციალურ პროცესებზე.

ივანიშვილის ოცნებაა, ერთიანი, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. გამოსვლამდე 4 კვირით ადრე, ის კამერების წინ გამოჩნდა და პოლიტიკაში მოსვლა ამცნო ხალხს. მისმა განცხადებამ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩატარდა კვლევები და შედეგები სენსაციური აღმოჩნდა: პრეზიდენტ სააკაშვილის პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც 2004 წლიდან მართავს სახელმწიფოს, წნეხის ქვეშ აღმოჩნდა.

ვინაა ბიძინა ივანიშვილი და რა მიზნები აქვს?

ივანიშვილი საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი სახეა სიმდიდრის გამო, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა. ფორბსის მიხედვით მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარამდეა, რაც საქართველოს წლიურ ბიუჯეტს აღემატება. 2003 წლიდან ის საქართველოში საცხოვრებლად დაბრნდა და შეუმჩნევლად ქველმოქმედებას ეწეოდა. მან 650 მილიონი ევრო კულტურისა და ხელოვნების განვითარებასათვის გაიღო, მათ შორის, თანხის ძირითადი ნაწილი მოხმარდა ათასობით ეკლესიის რესტავრაციასა და მშენებლობას, მაგალითად როგორიცაა სამება. ხოლო, თავის მშობლიურ სოფელში, მან არამარტო დააფინანსა სოციალური პროექტები, არამედ თავის თავზე აიღო სოციალური გადასახადებიც. ამგვარად, მან მოიპოვა ზღაპრული ადამიანის იმიჯი, რომელიც შეუმჩნევლად ცხოვრობს და ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. ამ დრომდე ის არ ჩნდებოდა პოლიტიკური აქტივობებითა თუ გამოსვლებით.

ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა დაასაბუთა სააკაშვილის მიერ მთავრობის მონოპილიზირებითა და ოპოზიციის უუნარობით მთავრობის წინააღმდეგ. მან სურვილის გამოთქვა საქართველოში პლურალისტული დემოკრატიის დამყარების ხელშეწყობისათვის. ის გეგმავს, რომ მონაწილეობა მიიღოს მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში, თუკი მოძრაობას პარტიად დაარეგისტრირებს. ამასთან ის დარწმუნებულია, რომ ხმების აბსოლუტურ უმრავლესობასაც მიიღებს. ივანიშვილის გამოსვლები გამოირჩევა გაწონასწორებულობით, საუბრობს ხალხის ენაზე, მაგრამ მის პოლიტიკურ გამოსვლებში

Konrad-Adenauer-Stiftung e.V.

SÜDKAUKASUS
DR. CANAN ATILGAN

13. Dezember 2011

www.kas.de/kaukasus
www.kas.de

შეინიშნება პოლიტიკური გამოუცდელობა.

იგი ერთ დღესაც მედდის საშუალებით წარსდგა საზოგადოების წინაშე და გამოსვლა სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის კრიტიკით დაიწყო. სიტყვისა და პრესის თავისუფლება არაა უზრუნველყოფილი, სასამართლო სისტემა - დამოუკიდებელი და ეკონომიკა - თავისუფალი. მან ასევე განაცხადა, რომ თავის პარტიას ჯანმრთელი პოლიტიკური ძალებით დააკომპლექტებდა და არჩევნებში გაიმარჯვებდა. ის ხალხთან ერთად ჩამოაყალიბებდა მმართველობის ოპტიმალურ მოდელს, აღკვეთდა კორუფციას ელიტაში, აღადგენდა სასამართლოს დამოუკიდებლობას, გააუმჯობესებდა საინვესტიციო კლიმატსა და ინვესტიციას ჩადებდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მან რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, ა.შ.შ.-სთან და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება და ევროპასთან ინტეგრაცია მნიშვნელოვან მიზნებად დაასახელა. როგოც მისი გამონათქვამებიდან ჩანს, მისი გამოსვლების უკან არ დგას გაანალიზებული პროგრამა. ისეთ პოლიტიკურ პრობლემებზე, როგორიცაა უმუშევრობის დაძლევა, ქვეყნის კონფლიქტური ტერიტორიების დაბრუნება, არ გააჩნია სამოქმედო გეგმა. სამაგიეროდ აცხადებს, რომ შეიძენს ტელემაუწყებლებს და ყოფილ პარტონს 1 წლის შემდეგ სიმბოლურ თანხად, 1 ლარად უკან დაუბრუნებს, ასევე რომ ის 2 წელიწადში წავა პოლიტიკიდან და თავისი დაარსებული პარტიის ოპოზიციას შექმნის.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ივანიშვილმა თავისი მოძრაობა „ქართული ოცნება“ წარადგინა, უკვე იგრძნობოდა მეტი პროფესიონალიზმი მის გამოსვლაში. მან ისაუბრა ძალათა გადანაწილებაზე საკანონდმედბლო, აღმასრულებელ და სასამართლოს შორის, რათა არ განვითარდეს ავტორიტარიზმი. ის მოითხოვს, რომ ხალხი მეტად იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, გამჭვირვალე მმართველობას, მედიის, როგორც მთავრობის დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოს, როლის გაძლიერებასა და კანონის უზენაესობას. ასევე იმაზე, რომ ექსპერტები უნდა ჩაერთონ სხვადასხვა სფეროებში, რათა მოხდეს მათი დახვეწა. მაგ.: სასამართლო, ადამიანის უფლებები, ეკონომიკური პოლიტიკა, განათლება, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. გამოსვლისას დარბაზში ელაგა ბლანკები, რომლის შევსებაც შეეძლოთ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს, სამუშაო ჯგუფში მოსახვედრად. 2.500 კაციანი დარბაზი სავსე იყო დაინტერესებული პირებით. დაახლოებით ამდენივე ადამიანი იდგა გარეთ და ეკრანზე ადევნებდა თვალყურს ივანიშვილის გამოსვლას. ცნობილი სტუმრებიდან იქ იმყოფებოდნენ: მწერლები, მუსიკოსები, სპორტსმენები, ადამიანთა უფლებების დამცველები, ყოფილი პოლიტიკოსები.

თანამოაზრეები

ივანიშვილმა თავიდანვე განაცხადა, რომ არ სურდა სააკაშვილის წინააღმდეგ მარტო ბრძოლა, არამედ გააერთიანოს

Konrad-Adenauer-Stiftung e.V.

SÜDKAUKASUS
DR. CANAN ATILGAN

13. Dezember 2011

www.kas.de/kaukasus
www.kas.de

ოპოზიცია და საერთო ძალებით იბრძოლოს. მის თანამოაზრეებს განეკუთვნება ირაკლი ალასანია, საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ გაემიჯნა პრეზიდენტ სააკაშვილს და საკუთარი პარტია დააფუძნა. ალასანია საქართველოში პერსპექტიული პოლიტიკოსია, ამგრამ მისი პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ არც ისე პოპულარული. გამოკითხვის შედეგები აჩვენებენ, რომ მისი რეიტინგი 5%-იან ზღვარს ქვემოთაა. ივანიშივლი ასევე თავის პარტნიორად განიხილავს დავით უსუფაშვილის, „რესპუბლიკურ პარტიას“, რომელმაც ასევე მისი მხარე დაიჭირა. რაც შეეხება საპარლამენტარო ოპოზიციას, იგი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას პარტნიორად არ განიხილავს და მას ფსევდო-ოპოზიციას უწოდებს, რომელიც სინამდვილეში მმართველი პარტიისაგან იმართება. ამ ყველაფრის მიუხედავად ივანიშვილის ძირითადი დასაყრდენი მაინც პოლიტიკისაგან იმედგაცრუებული მოსახლეობაა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში გაემიჯნა პოლიტიკას, ასევე ყოფილი პოლიტიკოსები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის დროს მოღვაწეობდნენ.

განსაკუთრებით დაფასებული და გავლენიანი მხარდამჭერი ივანიშვილს პატრიარქის სახლით ჰყავს. ის ივანიშვილთან ერთად წარსდგა პრესის წინაშე და პრეზიდენტ სააკაშილვს მოუწოდა, დაებრუნებინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობა. ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა 2004 წელს მიიღო, რომელიც მაშინ ასევე რუსეთის მოქალაქე იყო. სადავო აღმოჩნდა მისთვის საფრანგეთის მოქალაქეობა. მან გამოსვლისას განაცხადა, რომ სურდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა შეენარჩუნებინა, რაც ქართულმა უწყებებმა კარგად გამოიყენებს და ჩამოართვეს მოქალაქეობა, იმის საფუძველზე, რომ საქართველოში სამმაგი მოქალაქეობა კანონით იკრძალება.

ის, რომ ივანიშვილს საქართველოს საპატრიარქოსთან კარგი დამოკიდებულება აქვს, ამისთვის ორი მიზეზი არსებობს. პირველი ის, რომ ეკლესიის მშენებლობისათვის ქველმოქმედმა უამრავი ფული ჩადო და მეორე ის, რომ საპატრიარქოს რთული დამოკიდებულება აქვს მთავრობასთან. სააკაშვლი და მისი მთავრობა საპატრიარქოსთვის ძალიან სეკულარულია, ხოლო რეფორმები ძალიან რადიკალური. საქართველოს ორთოდოქსული ეკლესია გაბრაზებულია მიღებული კანონით, რომლის მიხედვითაც, სხვა რელიგიური კონფესიები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად არიან აღიარებულები. ამის გამო საპატრიარქო შეშინებულია, რომ დაკარგადვის თავის განსაკუთრებულ სტატუსს ქვეყანაში. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დაძაბული ურთიერთობის დასადასტურებლად შეიძლება ერთი მაგალით მოვიყვანოთ: როდესაც პატრიაქი ილია მეორე რუსეთის პატრიარქის 65 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში გაემგზავრა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთის საპატრიარქო კრემლის აგენტობასა და საბჭოთა კავშირის აღსადგენად წარმოებულ ბრძოლაში დაადანაშაულა. საქართველოში ეკლესია ძლიერი

Konrad-Adenauer-Stiftung e.V.

SÜDKAUKASUS
DR. CANAN ATILGAN

13. Dezember 2011

www.kas.de/kaukasus
www.kas.de

მოთამაშეა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამას გამოკითხვებიც ადასტურებს, რომ ეკლესიას მოსახლეობის უფრო დიდი პროცენტი ენდობა, ვიდრე სხვა ინსტიტუციებს.

ძალათა ახლებური გადანაწილება

ბოლო გამოკითხვები აჩვენებენ, რომ ივანიშვილის მოძრაობას შეუძლა სააკაშვილის მმართველობას სერიოზული კონკურენია გაუწიოს. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის გამოკითხვაზე თუ რომელ პარტიას აირჩევდით ხვალ არჩევნები რომ იყოს: 36% პროცენტმა ნაციონალური პარტია დაასახელა. ამას მოსდევს ივანიშვილის მოძრაობა 32%-ით, ქრისტიან-დემოკრატებებს გამოკითხულთა 4,3% უჭერს მხარს. ერთ-მეოთხედზე მეტს (26,1%) სურს რომ ივანიშვილი გახდეს პრემიერ-მინისტრი, ხოლო 24,2%-ს - სააკაშვილი. გამოკითხვებმა ნათლად აჩვენეს პოლიტიკური ძალების ახლებური განაწილება. მაშინ, როცა ნაციონალურ მოძრაობას თავისი მხარდამჭერები როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ საქართველოში ჰყავს, ივანიშვილის რეიტინგი არამარტო მის მშობლიურ მხარეში, იმერეთშია მაღალი, არამედ თბილისშიც.

თუკი ივანიშვილის პოლიტიკურ აღმასვლას განაგრძობს, საქართველოში ორპარტიულ მმარტველობას მივიღებთ.ქართველ ექსპერტებს სჯერათ, რომ ივანიშვილი შეძლებს მთავრობის დაბალანსებას და განსაკუთრებით, ავტორიტარულ ტენდენციას შეასუსტებს. ასეთი პოლიტიკური სესტემა, რა თქმა უნდა იქნებოდა კონკურენტული, მაგრამ მესამე პარტიას აღარ დარჩებოდა ადგილი პოლიტიკურ სისტემაში შეეტანა ბალანსი. ივანიშვილის ასეთი სწრაფი პოპულარობა ადასტურებს ქართველ ხალხში პოლიტიკური კულტურის არასებობას, კერძოდ პორობნების კულტს პოლიტკაში. შეძლებისდაგვარად, ბევრი ქართველი ივანიშვილში ხედავს მილიარდელის სახლით მხსნელსა და ქველმოქმედს. ნაკლებად ეხება საქმე იმას გვთავაზობს თუ არა ის კონცეპტუალურ ალტერნატივას. საქართველოს 20-წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ სათავეში ირჩევდნენ არა პროგრამებსა და პარტიებს, არამედ პოროვნებებს. პოროვნებები კი ქრებოდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან, მათი მმართველობის დასრულების შემდეგ. როგორც მოხდა მაგალითად შევარდნაძის და მისი პარტიის შემთხვევაში. მომავალ წელს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, 2013-ში კი - საპრეზიდენტო. კანონის მიხედვით სააკაშვილს აღარ აქვს კუნჭისყრის უფლება, თუმცა არის ლაპარაკი, რომ ის პუტინის მოდელს გაიმეორებს. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც 2013 წელს შევა ძალაში, საპრეზიდენტო ძალაუფლების ხარჯზე პრემიერმინისტრის ძალაუფლების გაზრდას ითვალისწინებს. ამგვარად, სააკაშვილის პოლიტიკური გეგმები, ნელ-ნელა უფრო საშიში ხდება. ამ საკითხებზე ქართული მოსახლეობა სხვა და სხვა აზრისაა. ზემოთ ხსენებული გამოკითხვების მიხედვით, გამოკითხულთა 39%ს სურს კვლავ სააკაშვილის ხილვა ქვეყნის სათავეში, 35% მოწინააღმდეგეა. სააკაშვილი უდავოდ არის

Konrad-Adenauer-Stiftung e.V.

SÜDKAUKASUS
DR. CANAN ATILGAN

13. Dezember 2011

www.kas.de/kaukasus
www.kas.de

რეფორმატორი, ვიდრე დემოკრატი. მან ქვეყანა რეფორმების კუთხით სანიმუშოდ აქცია. მაგრამ, მას არ შეუძლია ოპოზიციასთან ურთიერთობა. მართალია, სააკაშვილი ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას არ იმჩნევს, მაგრამ მის წრეებში უკვე შეინიშნება მღელვარება. მითუმეტეს, რომ ძლიერი მოთამაშე იმ დროს გამოჩნდა, როდესაც ბევრი კითხვაა ძალების სამომავლო გადანაწილებაზე. გაურკვეველია, რა დარჩება ნაციონალური მოძრაობიდან, როდესაც სააკაშვილი 2013 წელს აღარ იყრის კენჭს. მას კი, თავისი შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებია, ან არ ინდომა დასახელება.

ასევე, გაურკვეველია, ჯერ კიდევ, თუ რა შანსები აქვს ივანიშვილს, რომელმაც ჯერ უნდა დაიბრუნოს საქართველოს მოქალაქეობა, სანამ პარტიას დააარსებს და კენჭს იყრის. მოსალოდნელია, რომ სააკაშვილი და მისი მისი მთავრობა ივანიშვილის წინააღმდეგ იმოქმედებენ. მოქალაქობოს ჩამორთმევა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს კანონის მიხედით მოხდა, პირველი ნაბიჯი იყო ამისთვის. ამჟამად მთავრობა მუშაობს კანონზე პარტიების დაფინანსების შესახებ. წინასწარი ვარიანტის მიხედვით, კერძო სექტორს თითქმის ეკრძალება საარჩებნო კამპანიების დაფინანსება. ასე რომ, ივანიშვილი ვერ შეძლებს საკუთარი ფულის გამოყენებას საარჩევნო კამპანიისთვის. თუკი ივანიშვილი დამარწმუნებელ საბუთებს ვერ წარადგენს, იმისას რომ, არ აქვს კავშირი რუსეთთან, მთავრობა მისსავე სიტყვებს საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. იმედია რომ მთავრობა ივანიშვილთან ბრძოლაში ბრძოლის დემოკრატიული ხერხებიდან არ გადაუხვევს. როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სურს პლურალისტული პოლიტიკური ლანდშაფტის ნახვა.